

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 772

ქ. ბათუმი, 27 იანვარი 2019 წ

**„ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა
საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ განხორციელებასთან
დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 28 მაისის N680 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 28 მაისის N680 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართი 1 და დანართი 2 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლამა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის 27 ივნისის
№772 ბრძანების

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო
რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის
მსურველ პირთათვის**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლამდე, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების 12 დღიანი საკურორტო მომსახურება. ბიუჯეტი - 345 000 ლარი. ერთი დღის მომსახურება ბენეფიციარზე - 40 ლარი. შშმ სტატუსის პირთა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომლებიც ასევე ფინანსდება 40 ლარით.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია საკურორტო მომსახურება. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ზემოთ აღნიშნულს უნდა დაერთოს სასტუმროს ან სანატორიუმის ეზოს, ოთახების, სასადილო ოთახის, აბაზანის ფოტოები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამკურნალო სრულფასოვანი კვება. ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 10 ივნისიდან 2019 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან შშმ პირები და დაინვალიდებული (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, შშმ სტატუსის პირები (30 წლამდე), მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი (100001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარები.

5. დასასვენებელ/საკურორტო ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ლუკა ასათიანის ქ. №25.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი საბუთი. იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით, შესაბამისი ფოტო-სურათების თანდართვით.

შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ხოლო ეტლით მოსარგებლე პირებისათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ადაპტირებული გარემო.

შშმ სტატუსის პირთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის 27 ივნისის
№772 ბრძანების

**„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“
ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი**

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ომის ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა;
- ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი დოკუმენტაციით;
- სოციალურად დაუცველთა ბაზაში ბენეფიციარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაბამისი ქულების მითითებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მომსახურებით შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ ქ. ბათუმში რეგისტრირებულმა და ფაქტიურად მცხოვრებმა (უნდა ჰქონდეს სარეიტინგო ქულა ქ. ბათუმში) შშმ პირებმა 30 წლამდე, ომის ვეტერანმა ასაკით პენსიონერებმა, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა. ომის ვეტერანის (ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები უნდა იყვნენ 2019 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვაზე ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის ბაზაში.

ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით - 40 ლარი (ერთ დღეზე).

შშმ სტატუსის პირთა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომელიც ასევე დაფინანსდება - 40 ლარით (ერთ დღეზე).